



ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

13 მარტი

საუბრაოთი

2025 წლი

№711(9377)

ფასი 40 თეთრი

ბორჯომში ახდებოდა 5-ვარსკვლავიანი ბალნეოლოგიური კომპლექსი

ბორჯომში, ყოფილ საბაზო სანატორიუმ „ლიკანის“ ტერიტორიაზე, 60 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციით Wyndham Grand-ის 5-ვარსკვლავიანი მულტიფუნქციური ბალნეოლოგიური კომპლექსი აშენდება. პროექტის დაწყებისადმი მიძღვნილ ცერემონიაში, პროექტის ინვესტორებთან ერთად, მონაწილეობა საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ **თამაზ იორაშვილმა** და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** მიიღეს. პროექტის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩაიდო.

Wyndham Grand Borjomi-ის პროექტის განხორციელებისას 300-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება. კომპლექსი გააერთიანებს 5-ვარსკვლავიან სასტუმროს, 400-ზე მეტ საინვესტიციო რეზიდენციას და ბალნეოლოგიურ ცენტრს. რაც შეეხება სარეკრეაციო ზონას, იქ განთავსდება ზიპლაინი, სათილაშურო ტრასა, ფეხბურთის მოედანი, საფეხმავლო და ველობილიკები.



პროექტის პირველი ეტაპი 2027 წლის ბოლოს დასრულდება, ხოლო კომპლექსი სრულად 2029 წელს ამოქმედდება.

Wyndham Grand Borjomi — ის პროექტი ხორციელდება დეველოპერული კომპანიების — „niu siti developmentis“ და „apkos“ მიერ Wyndham Hotels & Resorts-თან და სასტუმრო მენეჯმენტის გლობალურ ლიდერ კომპანია Aimbridge Hospitality-თან თანამშრომლობით.

ქონსაჩი ქალაქის პატივსაცემად



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით, 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეს ანიმაციურმა ქალაქში მსვლელობა მოაწყვეს. ანიმაციურებმა ქუჩაში შემხვედრ ქალებს ყვავილები გადასცეს.

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, ანსამბლ „გორდელა“-ს კონცერტი გაიმართა. ანსამბლი მსმენელის წინაშე ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერებით წარსდგა. ღონისძიება ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით გაიმართა.

სად დაიკარგა ჟურნალისტური ეთიკა და სამართლიანობა?

რამდენიმე დღის წინ, ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკიდან ჟურნალისტი ვიკა ბუკიას ვიდეო გაერცვლდა, რომელსაც თან ერთვოდა წარწერა: „ბორჯომის პარკი არის სიმბოლო ჩვენი ქვეყნისა. იბრუნება ეს ქვეყანა და რუსულ პროვინციას ემსგავსება. ერთ დროს მშვენიერი პარკი გაპარტახებული და უსახური დამხდა: „пожалоовать“ - ჟურნალისტის პროვოკაციულ ვიდეო მიმართვას ასობით ადამიანმა დაურთო საპასუხო კომენტარი და არც თუ ისე ურიგოდ. ალბათ, „ქალბატონ ჟურნალისტს“ ეგონა, რომ აქ, ბორჯომში, თავის მსგავს პროვოკატორებს იპოვიდა და იმ გვერდსაც, რომელმაც ეს ვიდეო ატვირთა. „Borjomi Time“ სწორედ ასე ჰქვია გვერდს, სადაც ეს ვიდეო დაიდო. ისე, მართლაც საკითხავია, ვინ დგას ამ გვერდის უკან? რადგანაც აღნიშნულ გვერდზე არა მხოლოდ კრიტიკული პოსტები იდება, ბევრი დადებითიც მინახავს, თუმცა სპეციალურად დაგეგმილს უფრო ჰგავდა **ვიკა ბუკიას** უადგილო ვიდეო იმ დღეს და იმ წუთას, როდესაც წესით გვერდის ავტორმა ყველაზე კარგად უნდა იცოდეს, რომ როდესაც ჟურნალისტი ვიდეო მიმართვას წერს, ის იმ დროს, პარკის რეაბილიტაციის ტერიტორიაზე იმყოფება და რეალურად პარკი ხარაჩოებშია ჩასმული, შენების პროცესშია და არა გაპარტახებისა. სწორედ ამიტომაც, პირადად მეც მიჩნდება კითხვა, რატომ უნდა აძლევდეს თავს უფლებას, ასეთი ნეგატივითა და ცინიზმით საგვს ვიდეო-მიმართვა ატვირთო?

ჩემ აზრსაც დავაფიქსირებ ასობით კომენტარის ავტორის გვერდით, რომელთა აზრიც საკმაოდ დადებითი და რეალისტური გახლდათ, რომ „ქალბატონი ჟურნალისტი“ მოვლენებს რეალურად ვერ აღიქვამს. პირველ რიგში, ერთ-ერთი კომენტარის ავტორს დავეთანხმები, რომელმაც კომენტარების ველში რომანოვები ახსენა. დიახ, რომანოვები, რომელთა სახელსაც უკავშირდება საერთოდ ბორჯომის ისტორია. სწორედ რუსეთის გუბერნია იყო წლების მანძილზე ეს პატარა კოპონა ქალაქი და რა თქმა უნდა, ახლაც დევნიან დღეს, აქ, უამრავი დამხვენიელი სწორედ რუსეთიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოდის. პირადად მეც არ მო-



დავინახოთ, რაც რეალურად კეთდება. განა, უკეთესი არაა, რომ უფრო მეტი პოზიტივი დავინახოთ და ისედაც სტრესულ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებას სიძულვილისკენ არ ვუბიძგოთ? მითუმეტეს, ჟურნალისტებს არ შეეშენით სიძულვილის ენით საუბარი. თუმცა, აქ არის სწორედ დიდი „მაგრამ“... კი მაგრამ, განა ყველა ჟურნალისტი ჟურნალისტია? და კი მაგრამ... განა ყველა ჩვენი მოყვარეა?

მომზადა ნატო მელიქიძე

მათაქათა ბორჯომის განაშენიანების ბაზის ქონსაჩიის საჯარო განხილვა

შემუშავებული დოკუმენტაცია მოქალაქეებს საპროექტო კომპანია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენელმა გააცნო. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, შეხვედრის მეორე ნაწილი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. რეკომენდაციების მიღება 26 მარტამდე, როგორც ბეჭდური, ისე - ელექტრონული სახით იქნება შესაძლებელი. წერილობით მოგვანოდეთ შედეგ მისამართზე.

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო - მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154, ელ. ფოსტა:



საჯარო განხილვები suda.gov.ge
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის - მის: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქუჩა, №5;

საღიუსო მოვლენების კალენდარი

მშვიდობის მზა გამოანათა

მას შემდეგ, რაც ამერიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი, ბატონი ტრამპი ქვეყნის სათავეში მოვიდა, მსოფლიოში არსებული დაძაბული ვითარება ნაწილობრივ შეივსალა, თვალნათლივ ჩანს, რომ 2025 წელი მეტად არაორდინალურად დაიწყო. რეალურად გამოიკვეთა რუსეთ-უკრაინის ომის დამთავრების კონტურები, გლობალური ომის პარტის ენ. „დიფ სთიეთის“ წინააღმდეგ გამაჟურებული ბრალდებები და არასამთავრობო ორგანიზაციების დამოწმებები.



საქმიანობის სანაღდეგოდ გადამდებული ნაბიჯები.

ტრამპის ხელისუფლება კატეგორიულად მოითხოვს ამ ორგანიზაციების გაუქმებას.

საინტერესოა, აღინიშნოს ისიც, რომ რასაც ტრამპის ხელისუფლება დღეს ითხოვს, იმ პრობლემების მოგვარებას, უფრო ადრე, თითქმის სამი წელია ითხოვდა საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიციამ „რუსული“ კანონი უწოდა. არადა, საქართველოში ასობით არასამთავრობო ორგანიზაციები სწორედაც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან და რას საქმიანობაზე ჩვენში მოქმედი ორგანიზაციები, მარტო უფალმა თუ იცის, ასევე ითქმის, გენდერული თუ სხვა არაჯანსაღი კანონების აღკვეთა და ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ გამოხდომებს ზღვარი ახლაც არ აქვს. არანაკლებ პრობლემატური იყო მე-11 დიამი გავრცელებული ცილისმამბელოური გამოსვლები, მეურთაცხმყოფელი სიუჟეტები და სხვა. ხელისუფლება იძულებული გახდა კვლავ ქვეყნის ალტერნატიული კანონებით

შეცვლისათვის გადაედა ნაბიჯები.

საკანონმდებლო ინიციატივებში უმნიშვნელოვანესია ამერიკული კანონის „ფარას“ ქართული ასლის მიღება, სადაც ხაზგასმითაა მითითებული უცხოური მთავრობების უკანონო მცდელობების აღკვეთა, გავლენა მოახდინოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, კანონდებლობაზე, დემოკრატიულ პროცესებზე და საზოგადოებრივი ზრის დამკვიდრებაზე, ეს ყველაფერი ემთხვევა საქართველოში შექმნილ სიტუაციას.

უცხოური ქვეყნებიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები არა მარტო დემოკრატია

და საზოგადოებრივ აზრს უტყვენ, არამედ სახელმწიფოში მშვიდობის განმტკიცებასაც სერიოზულად უშლიან ხელს, ამიტომ გახდა საჭირო ამერიკული „ფარას“ იდენტური კანონის მიღება.

შესაბამისად, იგივე ითქმის „მედის შე-სახებ“ ბრიტანული კანონის ქართული ანალოგის დამტკიცებაზე, რაც ერთხელ და სამუდამოდ მოაწესრიგებს და მედიაში დამკვიდრებს სიტყვის თავისუფლებას; მეორეს მხრივ დაცული იქნება საზოგადოების უფლებები, მიიღოს რეალური და ობიექტური ინფორმაცია და არა დეზინფორმაცია, თავი დაიცვას ცილისწამებისგან, ხოლო ჟურნალისტებმა იზრუნონ ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვისათვის და არ იყვნენ პოლიტიკური იარაღი რადიკალური ძალების ხელში, წერონ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა.

ზემოთ აღნიშნული კანონების ავ-კარზე სერიოზული შეხლა-შემოხლა მიმდინარეობდა პოლიტიკურ წრეებში და საზოგადოებაში.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

ჩას პილულობი ყველაზე დიდი ჩაოღნობით

საქართველოში საკვები პროდუქტების იმპორტის მეხუთედზე მეტი რუსეთზე მოდის. საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის იანვარ-დეკემბერში ქვეყანამ 1.715 მლრდ დოლარის ღირებულების საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები შეიძინა, აქედან რუსეთში 410.7 მლნ დოლარის. აღსანიშნავია, რომ როგორც სხვა წლებში, 2024-შიც საქართველომ რუსეთში ყველაზე დიდი რაოდენობით ხორბალი იყიდა. ამასთან, ათეულში შედის - ფქვილი, საკონდიტრო ნაწარმი, ასევე ცოცხალი ღორები და ა.შ.



ტოპ-10 საკვები პროდუქტი და ცოცხალი ცხოველები, რომელიც საქართველომ 2024 წელს რუსეთში იყიდა:

75.687 მლნ დოლარი - ხორბალი და მესლინი;

ცოცხალი ღორები - 32.9236 დოლარი; - კვების სხვა მზა პროდუქტები; 25.755 მლნ დოლარი - პური, ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, შაქარლამა, ნამცხვარი და სხვა პურფუნთოშეული; 19.742 მლნ დოლარი - ყავის, ჩაის ან ლატეს ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები; 17.752 მლნ დოლარი - პროდუქტები საწებლების მოსამზადებლად და მზა საწებლები, მდოგვი; ფქვილი ხორბლის ან ხორბალ-ჭვავისა - 16.916 მლნ დოლარი; ალაოს ექსტრაქტი - 14.432 მლნ დოლარი; დამუშავებული მარცვლოვანების მარცვალი - 13.518 მლნ დოლარი; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცოცხალი - 12.818 მლნ დოლარი;

შეგახსენებთ, რომ რუსეთში საკვები პროდუქტის ექსპორტის შეზღუდვის საკითხს განიხილავენ. მოსკოვში, ამბობენ, რომ რუსეთის მთავრობა მზად არიას, სურსათის ექსპორტი შეზღუდოს, თუ სიტუაცია შიდა ბაზრის სტაბილურობის სასარგებლოდ არ განვითარდება. კონკრეტულად, რომელი პროდუქტის ექსპორტს შეეხება შეზღუდვა, ჯერ არ ასახელებენ.

საზოგადოებრივი თემატიკის დღიური საზოგადოებრივი არსი და მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივ საზოგადოებაში

დღიურსა საზოგადოებაში მხოლოდ რელიგიური ალტერნატივა ტრადიციული განმეორება არ გახლავთ. მასში დღეს საიდუმლოებრივი და ამა-ვდროულად ქმედითი, რომლის გააზრებაც მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის.

ადამიანი ბედნიერებისაკენ მოწოდებული არსებაა. მასში ჩადებულია ლტოლვილთა დაუსრულებელი სიკეთისკენ, რასაც ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ღმერთთან ერთობა ანუ განდრთობა ეწოდება. ერთი ის, რომ ადამიანს სურს ბედნიერება. მაგრამ მეორე ის გზა, რითაც მან ამ მიზანს უნდა მიაღწიოს. მარადიული ბედნიერებისაკენ მიმავალი გზა ბიბლიაშია გაცხადებული და ის წარმოდგენილია როგორც ადამიანის ეგოიზმზე ამაღლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ მაშინ, როდესაც ადამიანი ცხოვრებას იწყებს სხვისთვის, ის ბედნიერებისაკენ მიმავალ გზას ადგას.

ისმის კითხვა: ეს გზა როგორ უნდა გაიაროს ადამიანმა და ამ ფუნდამენტურ კითხვაზე ქრისტიანობა პასუხობს: - მსახურებით, რომელიც იწყება ღვთისმსახურებით და აღესრულება მოყვასის მსახურებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღვთისმსახურება ეს არის ის მოქმედება, რომელიც ადამიანური ბედნიერების საფუძველშივე დევს.

თუკი თვალს გადავავლებთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, მაშინ ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის შენებას წინ ყოველთვის უძღოდა წარუვინებელი ნინაპირობა საზოგადოებრივი მთლიანობა და პირიქით, წარუვინებელი განხილვა. ამის მიზეზს ისტორიკოსები სხვადასხვა მოვლენაში ეძებენ, თუმცა თუქცა არსებითია სწორედ იმისი გააზრება, რომ ერის მთლიანობას წინ უძღვის ღვთისმსახურებაში გაერთიანება და პირიქით, მის დახლეჩასა და დანაწილებას წინამორბედებს საზოგადოების ღვთისმსახურებისაგან დაცილება. ამდენად, ჭეშმარიტი ღვთისმსახურება მნიშვნელოვანია როგორც კერძო ადამიანის პიროვნების ბედნიერებისათვის, ასევე მტკიცე საზოგადოების შენებისათვის.

პოეზიის კითხვა სხვა საქართველო სად არის

თქვი, სად ვეძებო ნეტარება, როცა აქვე მაქვს,
როცა არსებობს ეს სიტყვები, ეს საქართველო,
როცა ევროპა თუ ამერიკა, თუნდა სხვა სამყარო,
სად ვნახავ ასე ლამაზ მთა-ბარს, ზღვასა და მდელს.
რა შინაა სხვაგან, დამიფაროს შინა და ნეტარება,
როცა ასეთ ქვეყნის შვილად მაჯერთან ღმერთმა,
ხელი ჩამკიდა, დღედაღამ ვგრძნობ მის გვერდით ყოფნას,
ბედნიერება მაგრძნობინა მან, ერთადერთმა.
ვინ არის ქრისტიანი? ღმერთია, თავად ღმერთია იგი,
უძლიერესი, უთბილესი, უჭკვიანესი,
კეთილი მამა, ერთგული და მოსიყვარული,
თუმცა, უნდა ითქვას, მტერთან არის ხმალი ნალესი.
ბაგაში იშვიათად, თვად სრულყოფილებად,
თვით შემოქმედი სამყაროსა და კაცობრიობის,
თითოეულს ჩვენგანს მან ჩაჰბერა სული უკვდავი,
ღმერთთან ისააკის, აბრამის ღმერთმა იოზის,
აი, ვინ არის ჩვენთან ერთად, მუდამ ჩვენ გვერდით,
და მდებარე გვირგვინს, ნუ ჩავდებთ ცოდვა-ვნებაში,
„აქაც“ და „იქაც“ ჩვენთვის, ჩვენ ცხოვრებისთვის,
თუ მას ვემსგავსეთ, გზას ვადგავართ ნეტარებაში.
რის ამერიკა, თუ ევროპა, რა დუდუნება,
რა დროებით ნეტარება, კეთილდღეობა,
მაცდური ტკობა, ჭაობში რო გვითრევს და გვახრჩობს,
„აქაც“ და „იქაც“ სატანჯველი - ბილი ლეობა.
ბედნიერება სად ვეძებო, როცა აქვე მაქვს,
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ჩვენთან არს ღმერთი,
სადაც მოვედი, ვიცხოვრე და გარდავიცვლები,
საქართველოა ის ქვეყანა, სადაც ის ერთადერთია.
საქართველო ლამაზო, სხვა საქართველო სად არის!
ოლიქო ლოშიქა

დღიური პროფესიონალიზმით

გერქვას წარმატებული და პროფესიონალი ექიმი უდიდეს ძალისხმევას, დროს და ადამიანურ რესურსს მოითხოვს. ღამეში 3 საათი ძილი სამედიცინო სწავლისას სტუდენტისათვის დიდი ფუფუნებაა ყოფილა. დღეს, საქართველოში დასაქმებული ექიმების უმრავლესობა მცირე ანაზღაურებაზე საუბრობს. ძალიან ბევრი უნიჭიერესი ქართველი ახალგაზრდა სწავლის და პრაქტიკის მისაღებად გერმანიის სხვადასხვა კლინიკებშია დასაქმებული.

სამედიცინო მომსახურების მხრივ მსოფლიო დონის კლინიკებია ჩვენს მეზობელ თურქეთში, სადაც ოპერაციების და ონკოპაციენტების მომსახურების მაღალი სტანდარტებია დანერგილი. გერმანიაში, ისრაელში, სადაც სამედიცინო სფერს განვითარებისათვის უდიდესი ინვესტიციები იხარჯება. უნიჭიერესი ქართველი ექიმებიც იმსახურებენ მათი ცოდნის, გამოცდილების შესაბამის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ საავადმყოფოებს, მაღალ ანაზღაურებას. წლების წინ ბოორჯომში კახა ექიმთან ვიზიტის შემდეგ, მახსოვს თბილისის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში გადავამოწმე თვალის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ანალოგიური პასუხი მიიღებინა ზუსტად, მაშინ, როდესაც ჩვენმა ექიმმა თავად მთხოვა, აპარატურა არ მაქვს და სხვაგანაც გადავამოწმო. დაილოცოს მისი ცოდნა და გამოცდილება, პროფესიონალიზმი. ერთი ექიმით ნუ დავეუკარგავთ ნდობას სხვა ექიმსაც. გერქვას კარგი ექიმი უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა და მოითხოვს დღესაც.

მეტი შესაძლებლობები მივცეთ ქართველ ექიმებს, რომ ქართველების სიცოცხლე სამშობლოში გადარჩინონ და უცხო ქვეყანაში არ წავიდნენ სამკურნალოდ, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალიზაციისთვის, შეთავაზებული კარგი ანაზღაურების სანაცვლოდ.

რაოდენ სამწუხაროს, რომ არც თუ იშვიათად საქართველოს მოქალაქეებს საზღვარგარეთ, თურქეთში, ისრაელში, გერმანიაში




სასოხელონო მიწვეული კიბოქსინგალები



ბორჯომის სასპორტო სკოლის სპორტსმენებმა, სპორტის სახეობა, კიკ ბოქსინგში, მარიამ გოგიჩაიშვილმა (32 კგ წონით კატეგორიაში), ლუკა გელაიშვილმა (48 კგ), მათე ჩადუნელი (31 კგ) საქართველოს ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს. მარიამი და ლუკა მეორე ადგილის, ხოლო მათე მესამე ადგილის პრიზიორია. სპორტსმენებმა შეჯიბრზე დიდი მოწონება დაიმსახურეს. 13 მარტს კი სასოხელონო საერთაშორისო ტურნირზე არიან მინვეულები, სადაც ქამრისთვის იბრძოლებენ. დეტალებზე სასაუბროდ მწვრთნელს, გიორგი აკოფოვს ვესაუბრეთ:

გიორგი, თქვენ და თქვენ მოსწავლეებს, კიდევ ერთ წარმატებულ ასარეზობას. სულ რამდენიმე დღეში სასოხელონო გინვეთ საკუთარი შესაძლებლობების მოწინააღმდეგე. რამდენი ქვეყანა იღებს მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირში და ბორჯომის სასპორტო სკოლიდან რამდენი სპორტსმენი იასპარეზებს?

- დიას, 13 მარტს მივმგზავრებით სასოხელონო, სადაც ირანის, თურქეთის, სასოხელონის, საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. ბორჯომის სასპორტო სკოლიდან ხუთი სპორტსმენი იასპარეზებს. ესენი არიან: მათე ჩადუნელი, დავით გულგერდამი, მიხეილ გოგიჩაიშვილი, მარი გოგიჩაიშვილი და ხატია აკოფოვი.



ნუკასოლს დაპირებით ნუკასი, თუ შესაძლებას არ აპირებთ

ერთხელ მდიდარი კაცი ღარიბ მანანწალას გადააწყდა თავის სახლთან. ღამე იყო, სამინლად ციოდა, მოხუცი ფეხშიშველად და დაგლეჯილი სამოსით იყო. მენ რა არ გცივა?

-- არა მაქვს არაფერი რომ ჩავიცვა, გარდა ამისა შეჩვეული ვარ სიცივეს. უპასუხა მან.

-- მოიცადე ცოტა ხანს, შევალ სახლში და სამოსს გამოგცემ. ამაღამ დიდი ყინვა იქნება და ვერ გაუძლებ მეგობარო.

მოხუცს თვალები აუცრემლდა. -- უფაღმა დაგლოცოს კეთილი კაცი. მდიდარი სახლში შევიდა და დაავიწყდა მოხუცი მანანწალა.

თუმცა დილით გაახსენდა და გარეთ გამოვიდა მის სანახავად მიხუცი მისი ჭიმკრის წინ ედგო. სიცივეს გაეყინა საბრალო.

ხელში წერილი ჰქონდა. აცრემლებულმა მდიდარმა მიცვალებულს ფურცელი ჩამოართვა.

-- უფრო მეტი ყინვისთვის გამიძლია, რადგან საკუთარი თავის იმედი მქონდა. შენმა დაპირებამ კი შენს იმედზე დამაყენა და უკეთესი ყოფის რწმენა გამიჩინა, დავკარგე საკუთარი თავის იმედი და ყინვაც მომერია. ნურასოდეს დაპირდებით ხურავის, თუ შესრულებას არ აპირებთ.

ნურც სიყვარულს, ნურც უკეთეს პირობებს.

მეწთვის იქნებ ეს უბრალო სიტყვებია.

მისთვის კი მთელი სამყარო.

გაზიარე



გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ
1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციაშია რეგისტრირებულია რედაქციაშია
რედაქციაშია
აპოკალიფსის თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდა.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იხევეთ: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
saari.ltd@gmail.com
borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კველიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე